



AUDIT COMPANY TTA

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს სოლემარტის პარტნიორსა და მენეჯმენტს

სარჩევი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
--	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	11

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	12
2. მომზადების საფუძვლები	12
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	21
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	22
6. გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები	22
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
8. მარაგები	23
9. მოთხოვნები გაცემულ სესხებზე	23
10. ძირითადი საშუალებები	24
11. ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში	25
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	25
13. მოკლევადიანი სესხები	25
14. განთავსებული კაპიტალი	25
15. ამონაგები	26
16. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება.....	26
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
18. ფინანსური შემოსავალი	26
19. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის ცვლილებები	27
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	29
21. პირობითი ვალდებულებები	30
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	31
---	----



AUDIT COMPANY TTA

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სოლემარტის“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

შპს „სოლემარტმა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი - 404903119) (შემდგომში - „ჯგუფი“) დაგვიქირავა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული კონსოლიდირებულ განმარტებითი შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება თანდართული, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2025 წლის სექტემბრიდან. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2024 წლის) დასაწყისში და ბოლოს, აგრეთვე შესადარისი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს მარაგების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, მარაგების რაოდენობების დადასტურება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ მარაგთან და მის მოძრაობასთან დაკავშირებით.

ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება ჩვენმა აუდიტორმა კომპანიამ დაიწყო 2025 წლის სექტემბრიდან. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საანგარიშგებო პერიოდის (2024 წლის) დასაწყისში და ბოლოს,

აგრეთვე შესადარისი პერიოდის დასაწყისში და ბოლოს ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციაზე დაკვირვებით ან სხვა ალტერნატიული გზებით, ძირითადი საშუალებების რაოდენობაში და სახეობრივ შემადგენლობაში დარწმუნება და მათი ისტორიული ღირებულებების დადგენა, რომლებიც ჯგუფს ასახული აქვს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ ძირითად საშუალებებთან, მათი ცვეთის ხარჯებთან, ასევე, მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სავაჭრო მოთხოვნებზე და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა სავაჭრო მოთხოვნების მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები გადახდილ ავანსებზე და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა გადახდილი ავანსების მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებებზე და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა სავაჭრო ვალდებულებების მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები მიღებულ ავანსებზე და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა მიღებული ავანსების მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჩვენს მიერ ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება მოთხოვნებზე საწარმოს პერსონალის მიმართ, შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა აღნიშნულ მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჯგუფის მიერ არ მომხდარა მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი, მისაღები ეკონომიკური სარგებლის შეფასება და საექვო მოთხოვნების იდენტიფიცირება. ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა რამდენად სწორად იყო ასახული ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო მოთხოვნები და შესაბამისი საექვო მოთხოვნების რეზერვი, ასევე მათგან წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების შეტანა.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარეებისგან დასტურის წერილები სესხის ძირი თანხის და პროცენტის მოთხოვნებზე და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურებით შევძელით მათი დადასტურება. შესაბამისად, ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა სესხის მოთხოვნის მუხლში და მათთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტების მუხლებში რამე სახის კორექტირებების შეტანა.

ჯგუფმა ვერ შეძლო სრულყოფილად წარმოედგინა ადმინისტრაციული ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირება ფინანსური ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

ჯგუფმა ვერ შეძლო სრულყოფილად წარმოედგინა ამონაგების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირება ფინანსური ანგარიშგების ამონაგების მუხლში.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს მისი უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა

მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

მარეხი გურული

აუდიტორული კომპანია შპს თითიეი აუდიტი
საქართველო, თბილისი, მინდაორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძის 21

22 ოქტომბერი, 2025 წელი

შპს სოლემარტი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	01 იანვარი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	შენ.
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13 005 582	2 851 604	1 950 631	5
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები	15 852 692	21 739 322	-	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12 271 029	17 206 422	1 399 807	7
მარაგები	3 540 722	1 562 930	2 804 826	8
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე	2 428 793	1 360 550	-	9
მოკლევადიანი აქტივები სულ:	47 098 818	44 720 828	6 155 263	
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები	7 383 330	7 077 304	2 179 920	10
ინვესტიციების ერთობლივ საწარმოში	113 700	69 700	-	11
გრძელვადიანი აქტივები სულ:	7 497 030	7 147 004	2 179 920	
აქტივები სულ:	54 595 848	51 867 832	8 335 182	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15 584 046	32 364 275	3 857 673	12
მოკლევადიანი სესხები	457 277	1 445 223	113 334	13
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	16 041 323	33 809 498	3 971 007	
კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი	-	-	-	14
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	38 598 037	18 124 133	4 374 629	
მესაკუთრეთა კაპიტალი	38 598 037	18 124 133	4 374 629	
არამაკონტროლებელი წილი	(43 512)	(65 798)	(10 453)	
კაპიტალი სულ:	38 554 525	18 058 334	4 364 176	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	54 595 848	51 867 832	8 335 182	

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ტუკვაძე

ბარბარა გოგიძე

დირექტორი

ბუღალტერი

12-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სოლემარტი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2024 წელი	2023 წელი (გადაანგარიშებული)	შენ.
ამონაგები	54 352 594	36 724 861	15
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(23 260 653)	(20 151 069)	16
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	31 091 941	16 573 792	
მიწოდების ხარჯები	(42 893)	(67 236)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6 634 957)	(1 453 833)	17
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	24 414 366	15 052 723	
ფინანსური შემოსავალი	2 628 564	1 091 149	18
ფინანსური ხარჯი	(64 212)	(6 991)	
ზარალი საკუროსო სხვაობებიდან	(53 468)	(574 018)	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(1 300)	-	
მოგება დაბეგვრამდე	26 923 675	15 562 863	
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	
წმინდა მოგება	26 923 675	15 562 863	
სხვა სრული შემოსავალი	-	-	
სრული შემოსავალი	26 923 675	15 562 863	
პერიოდის სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
სათაო კომპანიის მფლობელზე	26 895 593	15 618 208	
არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე	28 082	(55 345)	

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ტუკვაძე

ბარბარა გოგიძე

დირექტორი

ბუღალტერი

12-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სოლემარტი

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2023-სთვის	71 777	12 962 503	13 034 280	1 101 137	14 135 417
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(71 777)	(8 598 327)	(8 659 651)	(1 111 590)	(9 771 241)
ნაშთი 01.01.2023-თვის (გადაანგარიშებული)	-	4 364 176	4 374 629	(10 453)	4 364 176
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	15 562 863	15 618 208	(55 345)	15 562 863
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	19 927 039	19 992 837	(65 798)	19 927 039
განაწილებული დივიდენდი	-	(1 868 705)	(1 868 705)	-	(1 868 705)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(1 868 705)	(1 868 705)	-	(1 868 705)
ნაშთი 31.12.2023-თვის	-	18 058 334	18 124 133	(65 798)	18 058 334
ნაშთი 31.12.2023-სთვის	2 333 712	16 017 402	18 351 114	2 145 264	20 496 378
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(2 333 712)	2 040 932	(226 981)	(2 211 062)	(2 438 044)
ნაშთი 31.12.2023-თვის (გადაანგარიშებული)	-	18 058 334	18 124 133	(65 798)	18 058 334
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	26 923 675	26 895 593	28 082	26 923 675
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	44 982 009	45 019 726	(37 716)	44 982 009
განაწილებული დივიდენდი	-	(6 427 485)	(6 421 689)	(5 796)	(6 427 485)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(6 427 485)	(6 421 689)	(5 796)	(6 427 485)
ნაშთი 31.12.2024-სთვის	-	38 554 800	38 598 037	(43 512)	38 554 525

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ტუკვაძე

ბარბარა გოგიძე

დირექტორი

ბუღალტერი

12-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სოლემარტი
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წ. (გადაანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	26 895 593	15 618 208
კორექტირებები:		
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	4 551	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	291 501	90 574
წმინდა საპროცენტო ხარჯი/(შემოსავალი)	(2 564 352)	(1 084 158)
ზარალი კურსთაშორისის სხვაობიდან	(53 468)	(574 018)
	24 573 825	14 050 607
ცვლილება სამუშაო კაპიტალში		
მარაგების ზრდა	(1 977 792)	1 241 895
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	5 004 237	(15 928 565)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(16 803 430)	28 290 437
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10 796 840	27 654 373
გადახდილი პროცენტი	(56 071)	(3 963)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10 740 769	27 650 410
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(982 668)	(5 012 959)
ძირითადი საშუალებების გასვლა	380 591	25 000
საპროცენტო შემოსავალი	2 633 289	2 177 610
სესხის გაცემა	(4 885 940)	(2 517 458)
გაცემული სესხის მიღება	3 817 697	1 156 908
ინვესტიციების ზრდა	(21 714)	(125 045)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო	941 255	(4 295 944)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	60 181	1 247 005
სესხის დაფარვა	(1 055 436)	(98 699)
დივიდენდის გადახდა	(6 421 689)	(1 868 705)
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები	5 886 630	(21 739 322)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1 530 314)	(22 459 721)
ფულადი სახსრების წმინდა შემცირება	10 151 711	894 746
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2 851 604	1 950 631
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	2 268	6 228
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	13 005 582	2 851 604

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ტუკვაძე
დირექტორი

ბარბარა გოგიძე
ბუღალტერი

12-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სოლემარტი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სოლემარტი“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2011 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ფანასკერტელის ქ. N20ა, ბ.1, ხოლო ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 84.

შპს „სოლემარტის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა დარგის ახალი ტექნოლოგიების და აღჭურვილობების იმპორტი და ინსტალაცია.

შპს „სოლემარტის“ შვილობილი კომპანია არის შპს „მეგატესტი“ (70%). ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დედა კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ზურაბ ტუკვაძე.

2. მომზადების საფუძვლები ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონებისა, რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ,

განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვეველობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნენ საწარმომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებული არ არის არსებით განუსაზღვრელობასთან.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

3.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას: აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე; იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებულ შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება- ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების შესწორება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური აქტივი, ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქცეობა.

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

	ლარი / აშშ დოლარი	ლარი / ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.81	2.93
2024 წლის საშუალო კურსი	2.72	2.95
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.69	2.98
2023 წლის საშუალო კურსი	2.63	2.84

3.3 ამონაგები

ჯგუფის შემოსავლები ფორმირებულია პროდუქციის რეალიზაციიდან/მომსახურების გაწევიდან. პროდუქციის გაყიდვიდან/მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების მიხედვით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობით, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობებით.

საქონლის გაყიდვის/მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც

ჯგუფი/კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი/კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს.

შენობა ნაგებობები	12,5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
კომპიუტერები და IT აღჭურვილობა	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.6 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას ჯგუფი აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ ჯგუფი/კომპანია მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. ჯგუფი საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასებისთვის იყენებს სამართლიანი ღირებულების მოდელს. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება აღირიცხება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ საინვესტიციო ქონებას ცვეთა არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

3.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. იჯარა ფინანსურია თუ საოპერაციო დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. იჯარის კლასიფიცირება ხდება იჯარის დაწყების თარიღისთვის, ხოლო მისი ხელახლა შეფასება - მხოლოდ იჯარის (საიჯარო ხელშეკრულების) მოდიფიკაციის შემთხვევაში. საოპერაციო იჯარიდან მიღებული და გაცემული საიჯარო გადახდები აღიარდება, როგორც შემოსავალი და ხარჯი წრფივი მეთოდით.

3.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გარდა საინვესტიციო ქონებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი/კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს. ანაზღაურებადი ღირებულება არის

გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად, სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებსა და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 7 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

3.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში.

გაყიდვის შემთხვევაში მარაგები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც აღიარდება მისი

შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

3.11 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს/კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ კონსტრუქციული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3.12 ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, ჯგუფმა ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას ჯგუფისთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან

სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულების ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ასეთი ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებადი ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც არ არის ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთი და წარმოადგენს მიმდინარეს საწყისად აღიარდება დაუდისკონტირებელი თანხის მოცულობით.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას: (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას; (ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები; (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშებზე).

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ ჯგუფი/კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, ჯგუფი აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ ჯგუფი/კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ჯგუფი აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით, იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება როგორც საწყისი

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

3.13 საწესდებო კაპიტალი და დივიდენდი

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა და აღიარდება როგორც ვალდებულება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3.14 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

4.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

აღბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

4.3 სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების

და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

4.4 საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ჯგუფის საინვესტიციო ქონება აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება საბაზრო მეთოდის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დაშვებებთან. შეფასებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	01 იანვარი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)
ფული სალაროში	-	1 405	1 300
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	13 005 582	2 850 199	1 418 331
ფული შემნახველ ანგარიშზე	-	-	531 000
	13 005 582	2 851 604	1 950 631

6. გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები

ჯგუფს, სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მიზნით, საფინანსო ინსტიტუტებიდან აღებული აქვს საბანკო გარანტია და ამის უზრუნველსაყოფად შეზღუდული აქვს ფულადი სახსრების გამოყენების უფლება.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	01 იანვარი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)
პროდუქციის მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები	5 051 294	7 097 275	962 589
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	5 949 521	3 237 866	-
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	11 000 815	10 335 141	962 589
გადახდილი ავანსები	1 266 142	6 821 652	437 217

სხვა მიმდინარე აქტივები	71	49 629	-
საგადასახადო აქტივები	4 001	-	-
სულ არაფინანსური მოთხოვნები	1 270 215	6 871 281	437 217
სულ მოთხოვნები	12 271 029	17 206 422	1 399 807

8. მარაგები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	01 იანვარი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)
გასაყიდად გამოზნული საქონელი	3 192 112	1 249 451	2 798 245
სხვა მარაგები	348 610	313 479	6 581
	3 540 722	1 562 930	2 804 826

9. მოთხოვნები გაცემულ სესხებზე

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	01 იანვარი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	2 428 793	1 360 550	-
	2 428 793	1 360 550	-

10. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერები და IT აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
<u>თვითღირებულება</u>					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	2 255 005	-	-	-	2 255 005
შესყიდვები	4 364 732	479 169	147 967	21 091	5 012 959
გასვლები	-	(25 000)	-	-	(25 000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	6 619 737	454 169	147 967	21 091	7 242 964
შესყიდვები	243 000	695 436	20 745	23 486	982 668
გასვლები	-	(380 591)	-	-	(380 591)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6 862 737	769 014	168 712	44 578	7 845 041
<u>ცვეთა და გაუფასურების ზარალი</u>					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	75 086	-	-	-	75 086
ცვეთა პერიოდის განმავლობაში გასვლები	81 864	7 499	974	238	90 574
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	156 949	7 499	974	238	165 660
ცვეთა პერიოდის განმავლობაში გასვლები	204 659	81 708	5 763	3 921	296 052
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	361 608	89 207	6 737	4 160	461 711
<u>საბალანსო ღირებულებები</u>					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	2 179 920	-	-	-	2 179 920
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	6 462 788	446 670	146 993	20 853	7 077 304
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6 501 129	679 808	161 975	40 418	7 383 330

11. ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში

ერთობლივი საწარმო აღნიშნავს ისეთ ერთობლივ საქმიანობას, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ამგვარ მხარეებს ერთობლივ მეწილეებს უწოდებენ. ინვესტიციები ერთობლივ საწარმოში აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით, რომლის მიხედვით, ინვესტიციები ერთობლივ საქმიანობაში ფასდება თვითღირებულებიდან (რომლებიც მოიცავს გარიგების დანახარჯებს) დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

2022 წლის 22 ივლისს შპს „სოლემარტმა“ 50%-იანი თანამონაწილეობით დაარსა კომპანია შპს „საგურამოს მწვანე მამული“.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციამ ერთობლივ საწარმოში თვითღირებულების მეთოდის მიხედვით შეადგინა 113700 ლარი. შპს „საგურამოს მწვანე მამულის“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებული არ არის.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	01 იანვარი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)
სავაჭრო ვალდებულებები	4 419 244	6 111 356	401 079
სხვა ვალდებულება	755	0	40 085
სულ ფინანსური ვალდებულებები	4 419 999	6 111 356	441 164
საგადასახადო ვალდებულებები	196 353	356 579	183 612
მიღებული ავანსები	10 967 695	25 896 340	3 232 896
სულ არაფინანსური ვალდებულებები	11 164 048	26 252 919	3 416 509
სულ ვალდებულებები	15 584 046	32 364 275	3 857 673

13. მოკლევადიანი სესხები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	01 იანვარი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)
მოკლევადიანი ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტის მიმართ	457 277	1 445 223	113 334
	457 277	1 445 223	113 334

ჯგუფს სესხები მიღებული აქვს ფინანსური ინსტიტუტებიდან. სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

14. განთავსებული კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, საემისიო შემოსავალს და კაპიტალის ყველა სხვა რეზერვს, რომლებიც მიკუთვნებადია მშობელი საწარმოს წილობრივი მონაწილეობისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს ნულ ლარს (2023წ.: 0 ლარი).

15. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი (გადაანგარიშებული)
ამონაგები ადგილობრივი რეალიზაციიდან	54 352 594	36 724 861
	54 352 594	36 724 861

16. რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი (გადაანგარიშებული)
მარაგები	22 947 219	19 946 474
შრომის ანაზღაურება	233 007	161 025
სხვა თვითღირებულების ხარჯი	80 152	43 569
	23 260 378	20 151 069

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი (გადაანგარიშებული)
თანამშრომელთა ანაზღაურება	821 790	575 529
კომუნიკაციის ხარჯები	3 362	-
კომუნალური ხარჯები	21 510	16 553
საბანკო ხარჯები	531 817	311 083
ცვეთის ხარჯები	291 501	90 574
სხვა ხარჯები	1 827 487	39 427
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3 137 490	420 667
	6 634 957	1 453 833

18. ფინანსური შემოსავალი

	2024 წელი	2023 წელი (გადაანგარიშებული)
საპროცენტო შემოსავალი	2 628 564	1 091 149
	2 628 564	1 091 149

19. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ინფორმაციის ცვლილებები

ჯგუფმა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გადაიანგარიშა შესადარისი 2023 წლის ნაშთები და ბრუნვები, გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები და გააკეთა რეკლასიფიკაციები. აღნიშნული შესწორებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების თითოეული შესაბამისი მუხლის შესწორებით წინა პერიოდში. შემდეგი ცხრილი აჯამებს, აღნიშნული ცვლილების გავლენას შესაბამის მუხლზე:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
01.01.2023			
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4 622 418	(2 671 787)	1 950 631
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 279 765	(879 958)	1 399 807
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4 488 597	(4 488 597)	-
მარაგები	2 895 226	(90 401)	2 804 826
სხვა მოკლევადიანი აქტივები	206 581	(206 581)	-
მოკლევადიანი აქტივები სულ:	14 492 587	(8 337 324)	6 155 263
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	6 522 846	(4 342 926)	2 179 920
სხვა გრძელვადიანი აქტივები	360 066	(360 066)	-
გრძელვადიანი აქტივები სულ:	6 882 912	(4 702 992)	2 179 920
აქტივები სულ:	21 375 499	(13 040 317)	8 335 182
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 919 237	1 938 436	3 857 673
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	631 356	(631 356)	-
საგადასახადო ვალდებულებები	982 913	(982 913)	-
მოკლევადიანი სესხები	40 000	73 334	113 334
სხვა ვალდებულებები	3 540 276	(3 540 276)	-
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	7 113 782	(3 142 775)	3 971 007
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	126 300	(126 300)	-
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	126 300	(6 411 851)	-
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	71 777	(71 777)	-
დაგროვილი მოგება	12 962 503	(8 587 874)	4 374 629
მესაკუთრეთა კაპიტალი	13 034 280	(8 659 651)	4 374 629
არამაკონტროლებელი წილი	1 101 137	(1 111 590)	(10 453)
კაპიტალი სულ:	14 135 417	(9 771 241)	4 364 176
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	21 375 499	(13 040 317)	8 335 182

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
31.12.2023			
მოკლევადიანი აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 900 699	(49 095)	2 851 604
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები	-	21 739 322	21 739 322
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28 133 004	(10 926 582)	17 206 422
სხვა მოკლევადიანი აქტივები	124 700	(124 700)	-
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე	-	1 360 550	1 360 550
მოკლევადიანი აქტივები სულ:	32 721 333	11 999 495	44 720 828
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	9 415 670	(2 338 366)	7 077 304
ინვესტიციების ერთობლივ საწარმოში	-	69 700	69 700
გრძელვადიანი აქტივები სულ:	9 415 670	(2 268 666)	7 147 004
აქტივები სულ:	42 137 003	9 730 829	51 867 832
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19 665 049	12 699 226	32 364 275
საგადასახადო ვალდებულებები	354 975	(354 975)	-
მოკლევადიანი სესხები	1 620 601	(175 378)	1 445 223
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	21 640 625	12 168 873	33 809 498
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	2 333 712	(2 333 712)	-
დაგროვილი მოგება	16 017 402	2 106 731	18 124 133
მესაკუთრეთა კაპიტალი	18 351 114	(226 981)	18 124 133
არამაკონტროლებელი წილი	2 145 264	(2 211 062)	(65 798)
კაპიტალი სულ:	20 496 378	(2 438 044)	18 058 334
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	42 137 003	9 730 829	51 867 832

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

1 ლარის სიზუსტით	შეცდომების გასწორებით და რეკლასიფიკაციით გამოწვეული ცვლილებების გავლენა		
2023	წარდგენილი	კორექტირება	გადასინჯული
ამონაგები	36 737 621	(12 760)	36 724 861
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(20 211 682)	60 613	(20 151 069)
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	16 525 939	47 853	16 573 792
მიწოდების ხარჯები	-	(67 236)	(67 236)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(723 915)	723 915	-
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(90 574)	90 574	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(680 351)	680 351	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(1 453 833)	(1 453 833)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	15 031 099	21 624	15 052 723
ფინანსური შემოსავალი	1 091 148	1	1 091 149
ფინანსური ხარჯი	(3 962)	(3 029)	(6 991)
ზარალი საკუროსო სხვაობებიდან	(569 380)	(4 638)	(574 018)
მოგება დაბეგვრამდე	15 548 905	13 958	15 562 863
წმინდა მოგება	15 548 905	13 958	15 562 863
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
სრული შემოსავალი	15 548 905	13 958	15 562 863
პერიოდის სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
სათაო კომპანიის მფლობელზე	15 755 013	(136 805)	15 618 208
არამაკონტროლებელი წილის მფლობელზე	(206 108)	150 763	(55 345)

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

წლის განმავლობაში მენეჯმენტის ძირითადმა წევრებმა მიიღეს შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში:

	2024	2023
ხელფასები და ანაზღაურება	60 638	120 000
	60 638	120 000

დაკავშირებული მხარეები მოიცავს უმაღლეს ხელმძღვანელობას და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

სხვა დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები:

	დავალიანების ბალანსი	
	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხი		
**სხვა დაკავშირებული მხარეები	40 000	30 000
სხვა ტრანზაქციები		
*მფლობელი	6 015 009	3 330 165
	6 055 009	3 360 165

21. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - ჯგუფს/კომპანიას არ გააჩნია აუდიარებული არსებითი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

სასამართლო დავები - ჯგუფს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა სასამართლო დავები, რომლებიც ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის წარმოადგენს მიმდინარეს. ერთ დავაში მოსარჩელეა შინაგან საქმეთა სამინისტრო. დავა ეხება ადმინისტრაციულ ჯარიმას, რომლის ოდენობაც შეადგენს 105 462 ლარს.

მეორე დავა უკავშირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში ჩასმას. აღნიშნულს არ მოყვება რაიმე სახის ფულადი გადასახდელი, ის გამოიწვევს სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის შეზღუდვას.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის/კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს/კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენისთვის, 2025 წლის 02 თებერვალს ჩასმულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში (ტენდერის ნომერი: NAT240003399). შავ სიაში რეგისტრაციის ვადა ეწურება 2026 წლის 2 თებერვალს.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კომპონენტები

შპს სოლემარტი სპეციალიზირებულია სხვა და სხვა დარგის ახალი ტექნოლოგიების და აღჭურვილობების იმპორტსა და ინსტალაციაში, ის თანამშრომლობს არა ერთ საერთაშორისო, სამთავრობო და კერძო ორგანიზაციებთან სამედიცინო, ანალიტიკური, საექსპერტო, კრიმინალისტიკური, სასოფლო-სამეურნეო, ვეტერინარულ და საწარმოო სექტორებში.

ჯგუფის მთავარი მიზანია საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, ადგილობრივ ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება, რისთვისაც ის თანამშრომლობს რამდენიმე უცხოელ პარტნიორ კომპანიასთან რაც უზრუნველყოფს სტაბილურ და საიმედო მიწოდებას.

შპს სოლემარტი მომავალში გეგმავს იმპორტის მიმართულებით გაფართოებას, ახალი პარტნიორების მოძიებას და თანამშრომლობას სხვა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან.

შპს სოლემარტს ამ ეტაპზე არ აქვს ფილიალები, თუმცა საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მასშტაბით პარტნიორი კომპანიის საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი უშუალოდ არ ახორციელებს მეცნიერულ-კვლევით საქმიანობას, იგი მუდმივად აკვირდება ბაზრის ტენდენციებისა და მომხმარებლის მოთხოვნებს.

ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების ძირითადი წყაროა იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია. მოგების მაჩვენებელი სტაბილურად იზრდება გაყიდვების ზრდასთან ერთად.

მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი:

	2024 წელი	2023 წელი
მიმდინარე აქტივები	47 099 093	44 720 828
მოკლევადიანი ვალდებულებები	16 041 323	33 809 498
მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი	2.94	1.32

სწრაფი ლიკვიდობის მაჩვენებელი:

	2024 წელი	2023 წელი
ფული და დებიტორული დავალიანება	41 129 578	41 797 348
მოკლევადიანი ვალდებულებები	16 041 323	33 809 498
მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელი	2.56	1.24

საოპერაციო მოგების მარჟა (EBITDA):

	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	54 352 594	36 724 861
მოგება დაბეგვრამდე	27 279 663	15 660 429
EBITDA	50,19%	42,64%

ჯგუფის არაფინანსური მაჩვენებლებია:

- ✓ მომხმარებლების მაღალი კმაყოფილების დონე;
- ✓ სტაბილური პარტნიორული ურთიერთობები უცხოელ მომწოდებლებთან;

რისკები

ჯგუფის საქმიანობა მიეკუთვნება დაბალი რისკის პროფილს, მიუხედავად ამისა არსებობს მცირე რისკებიც მაგალითად:

- ✓ ტრანსპორტირების ან საბაჟო პროცედურების შეფერხება;
- ✓ კურსის მერყეობა (სავალუტო რისკები) იმპორტის ხარჯებზე;
- ✓ გარე ბაზარზე ფასების ცვალებადობა .

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

შპს სოლემარტი ხელმძღვანელობს კორპორაციული მართვის პრინციპებით, რომლებიც ეფუძნება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის სტანდარტებს.

ჯგუფში ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესი კონტროლდება შიდა ბუღალტრული ჯგუფის მიერ.

კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია ოპერაციული, ფინანსური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

შპს სოლემარტი მხარს უჭერს თანასწორობისა და ობიექტურობის პრინციპებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

შპს სოლემარტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმირდება სახელმწიფო ტენდერებით. ტენდერებში მონაწილეობისას სოლემარტი ახორციელებს შეთავაზებებს ოფიციალური გზით, ელექტრონული სისტემების მეშვეობით და ყველა ოპერაცია დადასტურებულია შესაბამისი ინვოისებითა და გადარიცხვებით.

არაფინანსური ანგარიშგება

შპს სოლემარტი დიდ ყურადღებას უთმობს პასუხისმგებლიან და ეთიკურ ბიზნესს, ზრუნავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებელთა კმაყოფილებაზე.

შპს სოლემარტის ბიზნესმოდელი დაფუძნებულია პროდუქციის იმპორტსა და რეალიზაციაზე საქართველოს ბაზარზე, რომელიც ორიენტირებულია ხარისხზე, გამჭვირვალობასა და გრძელვადიან პარტნიორობაზე.

ჯგუფის არაფინანსური საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები:

- ✓ თანამშრომელთა სტაბილური დასაქმება და პროფესიული განვითარება;
- ✓ მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი;
- ✓ პარტნიორებთან გრძელვადიანი ურთიერთობები.

არაფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია დირექტორი და ბუღალტრული განყოფილება.

ზურაბ ტუკვაძე

ბარბარა გოგიძე

დირექტორი

ბუღალტერი

მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

2024 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

მარეხი გურული

აუდიტორული კომპანია შპს თიბიტი აუდიტი
საქართველო, თბილისი, მინდორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძის 21

22 ოქტომბერი, 2025 წელი

შპს სოლემარტი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	01 იანვარი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)	შენ.
მოკლევადიანი აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13 005 582	2 851 604	1 950 631	5
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები	15 852 692	21 739 322	-	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12 271 029	17 206 422	1 399 807	7
მარაგები	3 540 722	1 562 930	2 804 826	8
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე	2 428 793	1 360 550	-	9
მოკლევადიანი აქტივები სულ:	47 098 818	44 720 828	6 155 263	
გრძელვადიანი აქტივები:				
ძირითადი საშუალებები	7 383 330	7 077 304	2 179 920	10
ინვესტიციების ერთობლივ საწარმოში	113 700	69 700	-	11
გრძელვადიანი აქტივები სულ:	7 497 030	7 147 004	2 179 920	
აქტივები სულ:	54 595 848	51 867 832	8 335 182	
მოკლევადიანი ვალდებულებები:				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15 584 046	32 364 275	3 857 673	12
მოკლევადიანი სესხები	457 277	1 445 223	113 334	13
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	16 041 323	33 809 498	3 971 007	
კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი	-	-	-	14
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	38 598 037	18 124 133	4 374 629	
მესაკუთრეთა კაპიტალი	38 598 037	18 124 133	4 374 629	
არამაკონტროლებელი წილი	(43 512)	(65 798)	(10 453)	
კაპიტალი სულ:	38 554 525	18 058 334	4 364 176	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	54 595 848	51 867 832	8 335 182	

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ტუკვაძე

დირექტორი



ბარბარა გოგიძე

ბუღალტერი

(Handwritten signature)

12-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სოლემარტი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2024 წელი	2023 წელი (გადაანგარიშებული)	შენ.
ამონაგები	54 352 594	36 724 861	15
რეალიზებული საქონლის და მომსახურების თვითღირებულება	(23 260 653)	(20 151 069)	16
მოგება ძირითადი საქმიანობიდან	31 091 941	16 573 792	
მიწოდების ხარჯები	(42 893)	(67 236)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6 634 957)	(1 453 833)	17
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	24 414 366	15 052 723	
ფინანსური შემოსავალი	2 628 564	1 091 149	18
ფინანსური ხარჯი	(64 212)	(6 991)	
ზარალი საკუროსო სხვაობებიდან	(53 468)	(574 018)	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(1 300)	-	
მოგება დაბეგვრამდე	26 923 675	15 562 863	
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	
წმინდა მოგება	26 923 675	15 562 863	
სხვა სრული შემოსავალი	-	-	
სრული შემოსავალი	26 923 675	15 562 863	
პერიოდის სრული შემოსავალი მიკუთვნებული:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე	26 895 593	15 618 208	
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	28 082	(55 345)	

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ტუკვაძე

დირექტორი



ბარბარა გოგიძე

ბუღალტერი

Handwritten signature in blue ink.

12-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სოლემარტი

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	განთავსებული კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2023-სთვის	71 777	12 962 503	13 034 280	1 101 137	14 135 417
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(71 777)	(8 598 327)	(8 659 651)	(1 111 590)	(9 771 241)
ნაშთი 01.01.2023-თვის (გადაანგარიშებული)	-	4 364 176	4 374 629	(10 453)	4 364 176
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	15 562 863	15 618 208	(55 345)	15 562 863
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	19 927 039	19 992 837	(65 798)	19 927 039
განაწილებული დივიდენდი	-	(1 868 705)	(1 868 705)	-	(1 868 705)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(1 868 705)	(1 868 705)	-	(1 868 705)
ნაშთი 31.12.2023-თვის	-	18 058 334	18 124 133	(65 798)	18 058 334
ნაშთი 31.12.2023-სთვის	2 333 712	16 017 402	18 351 114	2 145 264	20 496 378
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	(2 333 712)	2 040 932	(226 981)	(2 211 062)	(2 438 044)
ნაშთი 31.12.2023-თვის (გადაანგარიშებული)	-	18 058 334	18 124 133	(65 798)	18 058 334
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	26 923 675	26 895 593	28 082	26 923 675
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	44 982 009	45 019 726	(37 716)	44 982 009
განაწილებული დივიდენდი	-	(6 427 485)	(6 421 689)	(5 796)	(6 427 485)
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	-	(6 427 485)	(6 421 689)	(5 796)	(6 427 485)
ნაშთი 31.12.2024-სთვის	-	38 554 800	38 598 037	(43 512)	38 554 525

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ტუკვაძე
დირექტორი



ბარბარა გოგიძე
ბუღალტერი

12-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სოლემარტი

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	2024 წელი	31 დეკემბერი, 2023 წ. (გაადანგარიშებული)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	26 895 593	15 618 208
კორექტირებები:	4 551	-
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	291 501	90 574
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯი	(2 564 352)	(1 084 158)
წმინდა საპროცენტო ხარჯი/(შემოსავალი)	(53 468)	(574 018)
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	24 573 825	14 050 607
ცვლილება სამუშაო კაპიტალში	(1 977 792)	1 241 895
მარაგების ზრდა	5 004 237	(15 928 565)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(16 803 430)	28 290 437
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	10 796 840	27 654 373
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(56 071)	(3 963)
გადახდილი პროცენტი	10 740 769	27 650 410
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(982 668)	(5 012 959)
ძირითადი საშუალებების გასვლა	380 591	25 000
საპროცენტო შემოსავალი	2 633 289	2 177 610
სესხის გაცემა	(4 885 940)	(2 517 458)
გაცემული სესხის მიღება	3 817 697	1 156 908
ინვესტიციების ზრდა	(21 714)	(125 045)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო	941 255	(4 295 944)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	60 181	1 247 005
სესხის დაფარვა	(1 055 436)	(98 699)
დივიდენდის გადახდა	(6 421 689)	(1 868 705)
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები	5 886 630	(21 739 322)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(1 530 314)	(22 459 721)
ფულადი სახსრების წმინდა შემცირება	10 151 711	894 746
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2 851 604	1 950 631
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	2 268	6 228
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	13 005 582	2 851 604

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ხელმძღვანელობის
მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 22 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

ზურაბ ტუვაძე

დირექტორი

ზარბარა გოგიძე

ბუღალტერი

12-30 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების
განუყოფელ ნაწილს.

ჯგუფის არაფინანსური მაჩვენებლებია:

- ✓ მომხმარებლების მაღალი კმაყოფილების დონე;
- ✓ სტაბილური პარტნიორული ურთიერთობები უცხოელ მომწოდებლებთან;

რისკები

ჯგუფის საქმიანობა მიეკუთვნება დაბალი რისკის პროფილს, მიუხედავად ამისა არსებობს მცირე რისკებიც მაგალითად:

- ✓ ტრანსპორტირების ან საბაჟო პროცედურების შეფერხება;
- ✓ კურსის მერყეობა (სავალუტო რისკები) იმპორტის ხარჯებზე;
- ✓ გარე ბაზარზე ფასების ცვალებადობა.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

შპს სოლემარტი ხელმძღვანელობს კორპორაციული მართვის პრინციპებით, რომლებიც ეფუძნება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის სტანდარტებს.

ჯგუფში ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესი კონტროლდება შიდა ბუღალტრული ჯგუფის მიერ. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია ოპერაციული, ფინანსური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

შპს სოლემარტი მხარს უჭერს თანასწორობისა და ობიექტურობის პრინციპებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

შპს სოლემარტის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმირდება სახელმწიფო ტენდერებით. ტენდერებში მონაწილეობისას სოლემარტი ახორციელებს შეთავაზებებს ოფიციალური გზით, ელექტრონული სისტემების მეშვეობით და ყველა ოპერაცია დადასტურებულია შესაბამისი ინვოისებითა და გადარიცხვებით.

არაფინანსური ანგარიშგება

შპს სოლემარტი დიდ ყურადღებას უთმობს პასუხისმგებლიან და ეთიკურ ბიზნესს, ზრუნავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებელთა კმაყოფილებაზე.

შპს სოლემარტის ბიზნესმოდელი დაფუძნებულია პროდუქციის იმპორტსა და რეალიზაციაზე საქართველოს ბაზარზე, რომელიც ორიენტირებულია ხარისხზე, გამჭვირვალობასა და გრძელვადიან პარტნიორობაზე.

ჯგუფის არაფინანსური საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები:

- ✓ თანამშრომელთა სტაბილური დასაქმება და პროფესიული განვითარება;
- ✓ მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი;
- ✓ პარტნიორებთან გრძელვადიანი ურთიერთობები.

არაფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია დირექტორი და ბუღალტრული განყოფილება.

ზურაბ ტუკვაძე

დირექტორი



ბარბარა გოგიძე

ბუღალტერი